



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030119930476720

№ 01-518/ო

26 / ოქტომბერი / 2020 წ.

„ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის COVID-19-ის დიაგნოზის მქონე პაციენტებისა და მათთან კონტაქტირებული პირების შესახებ ინფორმაციული ნაკადების მართვის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 24 ოქტომბრის N01-514/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის COVID-19-ის დიაგნოზის მქონე პაციენტებისა და მათთან კონტაქტირებული პირების შესახებ ინფორმაციული ნაკადების მართვის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 24 ოქტომბრის N01-514/ო ბრძანებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული:

1. N1 დანართის (ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის COVID-19-ის დიაგნოზის მქონე პაციენტების შესახებ ინფორმაციული ნაკადების მართვის სქემა):

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. ინფორმაცია, ბინაზე მყოფი პაციენტების რაოდენობის შესახებ:

ა) ინფორმაციას ბინაზე მყოფი პაციენტების შესახებ ონლაინ კლინიკის ექიმი ასახავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ-112-ის (შემდგომში -112) ელექტრონულ პროგრამაში;

ბ) ეთხოვოს 112 შეაგროვოს/დააგენერიროს ინფორმაცია (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, იზოლაციის მისამართი/ენფიციარტა ჯამური რაოდენობა), დღეში ერთხელ (შაბათ-კვირისა და სადღესასწაულო დღეების ჩათვლით) და აგზავნის ეროვნულ ცენტრში ელექტრონულ ფოსტაზე (e.mail: covstat@ncdc.ge);

ბ) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.


2. N2 დანართის (COVID-19-ის დიაგნოზის მქონე პაციენტებთან კონტაქტირებული იზოლაციაში (თვითიზოლაცია, კარანტინი) მყოფი პირების შესახებ ინფორმაციული ნაკადების მართვის სქემა) მე-2 პუნქტის პრეამბულა და „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ინფორმაცია კარანტინიდან თვითიზოლაციაში გასული პირების შესახებ:

ა) ინფორმაციას კარანტინიდან თვითიზოლაციაში გასული პირების შესახებ (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, იზოლაციის მისამართი) სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი ყოველდღიურ რეჟიმში (10:00 საათზე, შაბათ-კვირისა და სადღესასწაულო დღეების ჩათვლით) აგზავნის ელექტრონულ ფოსტაზე (e.mail: covstat@ncdc.ge).“.

მუხლი 2. ბრძანება ძღაშია ხელმონწერისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

ეკატერინე ტიკარაძე